

ომარ შუდრა

მ ო გ ო ნ ე ბ ე ბ ი

(წიგნის ცალკეული თავების შემოკლებული, ინტერნეტ-ვერსია
ილუსტრაციებით)

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ვახტანგ გურული

კორექტორი: ბელა ქევხიშვილი

ელექტრონული ვერსიის მომზადება: ქეთი თომაძე

ქვეყნდება ავტორის ნებართვით

თბილისი 2010

შ ი ნ ა ა რ ს ი

რედაქტორის წინასიტყვაობა. მოგონებების შესავალი
ბავშვობისა და სტუდენტობის წლები (1942–1965 წწ.)

მხოლოდ აუდიოწიგნში

დუბნა. მოსკოვის ოლქი (1966–1970 წწ.)

თბილისი. ინსტიტუტის გახსნამდე (1970–1979 წწ.)

მხოლოდ აუდიოწიგნში

ინსტიტუტის დირექციაში (1980 – 1996 წწ.)

ნებისყოფა (აკად. ნოდარ ამაღლობელი)

ხასიათი (აკად. ალექო თავხელიძე)

მხოლოდ აუდიოწიგნში

კურჩატოვის მოადგილე (მ. მეშჩერიაკოვი)

პროფესორი ვლ. კეკელიძე

პაიჭაძე ისევ პაიჭაძეა (დაბადების 70 წელი –1985წ. სტატია)

რედაქტორის წინასიტყვაობა



ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ვახტანგ გურული

ზეციურის დედამიწაზე განხორციელების
მცდელობა ყოველთვის ჯოჯოხეთს იწვევს
კარლ პოპერი

«მოგონებების» ავტორი, ომარ სერგოს-ძე შუდრა, წამყვანი მეცნიერ-ორგანიზატორების და ცნობილი საზოგადო მოღვაწეების, «დიდი სამეულის» (რომელთაც თავის დროზე ქართული მეცნიერების «საკომანდო სიმაღლეები» ეკავათ), აკადემიკოსების – ნოდარ ამაღლობელის, ალბერტ თავხელიძის და რევაზ სალუქვაძის გუნდის ერთ-ერთი ძირითადი ფიგურა იყო. ის რამდენიმე ათეული წელი, გავრცელებული აზრით, უანგაროდ და პატიოსნად იყო მათ (პირველ რიგში, ნოდარ ამაღლობელის) გვერდით.

ავტორი, ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ ლაბორატორიის, ხოლო შემდეგ მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტის შექმნისა და ჩამოყალიბების უშუალო მოწმე და მონაწილეა. იყო სწავლული მდივანი, შემდეგ კი წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი.

ავტორს მახვილი თვალი აქვს. ის თვალსაჩინოდ და რეალისტურად აღწერს სამეცნიერო დაწესებულებების თანამშრომელთა ყოფას, სამუშაო ატმოსფეროს, და რაც მთავარია, მათ სულიერ განწყობას. ტექსტის ერთგვარი გადატვირთვა ყოფითი და ფსიქოლოგიური ხასიათის დეტალებით ზრდის ნაშრომის ფასეულობას

მკვლევართათვის, რომლებიც ადმინისტრაციულ-მბრძანებლობითი სოციალიზმის ეპოქას შეისწავლიან.

ოცი წელია, ქართველ ფიზიკოსებზე მოგონებების წიგნი არ გამოსულა(თუ არ ჩავთვლით ერთ-ორ გამონაკლისს, რომელიც საიუბილეო სამეცნიერო ანგარიშს უფრო წააგავს).

ჯერ კიდევ არის საშუალება, ავადგინოთ და შევუნარჩუნოთ ისტორიას მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ ფიზიკოსთა სახეები. უფრო მეტიც, ეს ჩვენი მოვალეობა და აუცილებლობაა.

ამჟამად, ალბათ საქართველოს რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ჩვენი კულტურის ამ ასპექტს ყურადღება არ ექცევა. თუმცა, იმედია, მომავალში მოგონებების საარქივო კულტურას საზოგადოება თავის კუთვნილ ადგილს მიუჩენს.

...ხუთიოდე წლის წინ, როდესაც მე ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ვიყავი, ომარ შუდრა მოწვეული იყო მაგისტრანტებთან «დოკუმენტალისტიკის» კურსის წასაკითხად. ერთხელ ის ჩემთან შემოვიდა, გამეცნო და მორიდებით რამდენიმე კითხვა დამისვა ჩემს ახლადგამოსულ წიგნზე. ამის შემდეგ ჩვენ ხშირად გვიმსჯელია მის, არაჰუმანიტარისათვის უჩვეულო გატაცებაზე – დიდი სამამულო ომის ისტორიაზე.

ომარ შუდრა ფართე ინტერესების პიროვნებაა. ის დღესაც აქტიური მკვლევარია: წერს სახელმძღვანელოს, დაგროვილ გამოცდილებას პროფესიული მომზადების კურსებზე გადასცემს ახალ თაობას.

მოგონებები მოიცავს 1942-1996 წლებს. მკითხველის წინაშეა წიგნის შემოკლებული, პოპულარული, ე.წ. ინტერნეტ-ვერსია (ისიც მხოლოდ ცალკეული თავები). წიგნს, რასაკვირველია, აქვს ნაკლოვანი მხარეებიც, თუნდაც ტექსტის ერთგვარი სიმშრალე, რაც ცალკეული ფრაგმენტების ხელოვნურ ამოღებას მოყვა. რაც შეეხება სრულ, ე.წ. აუდიო-ვერსიას, საზოგადოება მას მოგვიანებით გაეცნობა...

ჩვენ უფლება არ გვაქვს თვალი დავხუჭოთ ჩვენს ისტორიაზე. ესაა ჩვენი (თქვენთან ერთად) ბედი, «ჭიქა წყალში მოწყობილი ქარიშხლების» გამო მოტყუებული თაობების ბედი.



თბილისი, 2009 წ.

შესავალი

Меж датами рождения и кончины

(А перед ними наши имена)

Стоит тире, черта, стоит знак минус

А в этом знаке жизнь заключена

Э. Рязанов

ვისაც გართობის ან დასვენების სურვილი აქვს, ეს წიგნი გვერდზე გადადოს, ხოლო ის, ვინც მზადაა ფიქრისთვის, მწარე განცდისა და შესაძლოა, თვით გულაცრუებისთვისაც – მე გამომეყვეს.

ჩემს თავს იმ თაობას მივაკუთვნებ, რომელსაც XX საუკუნეში ძნელი გზის გავლა ხვდა წილად. მე მოვესწარი სტალინის, ხრუმჩოვის, ბრეჟნევის, ანდროპოვის, ჩერნენკოს, გორბაჩოვის, ელცინის, ხოლო ბოლო წლებში კი გამსახურდიას, შევარდნაძის, სააკაშვილის გაუაზრებელ «რეფორმებს». ამ თაობას მოვალეობის გრძნობა ბავშვობიდანვე ჰქონდა შთაგონებული: მოვალეობა ხალხის, მშობლების, სამშობლოს, მომავალი თაობის წინაშე. მე დავრწმუნდი ჩემსა და ჩემს თანამედროვეებზე, რომ ეს გრძნობა საკმაოდ მყარი აღმოჩნდა. მოგონებების შექმნისას ერთ-ერთი უძლიერესი სტიმული სწორედ ეს იყო. ადამიანები, რომელთაც ვიხსენებ, ძირითად, მოვალეობის გრძნობის ზეგავლენით მოქმედებდნენ. ისინი იყვნენ კარგი მეცნიერები, მეცნიერების ორგანიზატორები, ძლიერი ინჟინრები. მათ დაუტოვეს სპეციალისტებისთვის საჭირო სამეცნიერო შრომები, მაგრამ არ დაუტოვებიათ მოგონებები, არ აღუწერიათ ატმოსფერო, რომელშიც ისინი მუშაობდნენ. რადგან «ხელნაწერები არ იწვიან», მე მინდოდა ისტორიის მაგიდაზე დამედო ის, რასაც სხვა წყაროებში ვერ ნახავთ.

ამ ეპოქის ფიზიკის ისტორიის აღწერა არ იყო ჩემი ამოცანა. ამასთან, მოგონებები ძალზე არათანაბარია, რადგან ზოგიერთ მეცნიერთან ურთიერთობა წლობით გრძელდებოდა, და მათ უკეთ ვიცნობდი, სხვებს კი – ნაკლებად.



ფიზიკოსთა ჯგუფი: გ.ჭილაშვილი, ა.თავხელიძე, ნ.ბოგოლიუბოვი, ვ.შელესტი, ი.ვაშაკიძე, ვ.ჭავჭავანიძე, ... (?), ი.ბუდაგოვი, რ.სალუქვაძე. თბილისი. 1969 წ.

წიგნი დასაბუქდად მზად 2008 წელს იყო. მაშინ მე 66 წლის ვიყავი (თუმცა ითვლება, რომ მემუარების წერას 70 წლის ასაკიდან იწყებენ). ცალკეული თავები მივუტანე რამდენიმე მეცნიერს, წიგნების ავტორებს, რომელთაც მე პატივს ვცემდი. ისინი დაეჭვდნენ, რომ ასეთი სახის მოგონებებს, ძალზე გულდიას, ჩვეულებრივ ავტორის სიკვდილის შემდეგ გამოსცემენ. ერთდროულად დამეთანხმნენ, რომ ჩვენთან გამოცემული მემუარები შელამაზებულია (ჩვენი ხალხი, ასე თუ ისე, მაინც არტისტული ბუნებისაა). მართლაც, ჩვენი თაობის ცხოვრებაში ბევრჯერ ვიყავით მოწმენი, როცა ადამიანები მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობით, ვერ უძლებდნენ «სუფთა ფურცელს» და წერდნენ ისეთს, რასაც ისტორია წესიერი, პატიოსანი ადამიანისგან ვერ მიიღებს.

ამრიგად, ჩავთვალე რომ საზოგადოება მზად არ აღმოჩნდა სიმართლის მისაღებად. თანაც წიგნის დაწერა (თუნდაც დოკუმენტურის) მაინც ლიტერატურაა. მე კი მინდოდა, ასე ვთქვათ, «სარკის» შექმნა ყველა წინააღმდეგობებით და უაზრობებით. ამიტომ წიგნის მომზადება შევაჩერე და დავიწყე მისი კომპიუტერული აუდიოვერსიის ჩაწერა. ასეთ ჟანრში ტექსტი კარგავს თავის ერთიანობას. ერთადერთი, რასაც შეიძლება დაეყრდნო – ესაა ქრონოლოგია, კალენდარი. ქრონოლოგიურ სიზუსტეში კი ჩემი დღიური დამეხმარა.

დღიურს მე სკოლის პერიოდიდან ვწერდი, შემდეგ ის დავკარგე. მისი წერა განვაახლე ასპირანტურის წლებში, 24 წლის ასაკში და მას შემდეგ, დღემდე არ შემიწყვეტია. დღიურის სრული გამოქვეყნება საჭირო არ არის და შეუძლებელიცაა – მრავალი მიზეზით. ზოგჯერ საჭიროა კარგად აწონ-დაწონო – რისი გახსენებაა საჭირო და რისი არა, მაგრამ ზოგიერთ ჩანაწერს შეუძლებელია გვერდი აუარო – უფრო საზოგადოებრივი, ვიდრე პირადი მოსაზრებებით.

თუ მკითხველს მოეჩვენება, რომ ზოგიერთ ადგილებში მოგონებებს ძალზე პირადული ხასიათი აქვთ, შეუძლია ნახოს აღიარებული პროფესიონალების, აკადემიკოს ლ. ლანდაუს [1], მუსიკოს მ. როსტროპოვიჩის [2] შესახებ მათი მეუღლეების, აკადემიკოს ლ. პონტრიაგინის [3] და სხვათა ინტიმური, ყოფითი დეტალებით გამოგნებული მემუარები.

მაინც რატომ ასე გულახდილად?! ცნობილია, რომ გარკვეული ასაკის შემდეგ პატიოსან დურგალს არ შეუძლია ცუდი სკამის გაკეთება, ის ან კარგს გააკეთებს, ან სულ არ გააკეთებს. ასეა მოგონებებიც... თითქმის ნახევარი საუკუნეა გასული, და ამ ეპოქის ადამიანთა უმეტესობა უკვე იმ, უკეთეს ქვეყანაშია, ამიტომ ან სიმართლე უნდა დაწერო, ან არაფერი. ყველაზე უარესი კი ნახევარსიმართლის წერაა. ხოლო რაც შეეხება ჩემს სამოქალაქო და საზოგადოებრივ ტემპერამენტს, ის ჩემს მიერ უკვე რეალიზებული იყო მოსკოვის ოლქში საერთაშორისო ინსტიტუტში, თბილისში მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტის დირექციაში მუშაობისას, საქართველოს

ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოში, ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სალექციო აუდიტორიებსა და პუბლიცისტიკაში.

კიდევ ერთი მიზეზი - ცნობილია რომ, “ემმაკი დეტალებში იმალება” და მე დარწმუნებული ვარ, რომ დიდი საქმეების წარმატება თუ ჩაშლა სწორედ ამ «წვრილმანებზეა» დამოკიდებული, მაღალი თანამდებობის იქით, ადამიანურ მხარეზე თავისი პატარა სისუსტეებით.

ჩემი შრომებიდან განსხვავებით, ეს აუდიო- წიგნი პირადი გამოცდილების პრიზმაში ჩვენი საზოგადოების ზოგიერთი პრობლემის განხილვის მცდელობაა. წარსულის ინტერპრეტაციისას ავტორს უხდება, საკუთარ თავზე ბევრი ლაპარაკი. მაგრამ ასეთია ჟანრის ბუნება. მე ვთვლი რომ, აქ არ გადარმიჭარბებია, მაგრამ თუ მაინც შენიშნეთ, გთხოვთ მომიტევეთ.

ისტორიაში უსამართლობის დატოვება არ შეიძლება. რაც არ გამოგივიდა, ისიც არ უნდა დამალო, რადგან ახალი თაობა მხოლოდ შეცდომებზე სწავლობს.

და ბოლოს, აქვს ყველას უფლება მოგონებები წეროს?! აქ არ არსებობს ერთიანი აზრი. უმეტესობა თვლის, რომ ამის ღირსია მხოლოდ ჭეშმარიტი გმირი. მე უფრო ვიზიარებ ა. გერცენის შეხედულებას: «ყველას, რადგან არავინაა ვალდებული წაიკითხოს ის. . . »



*აკადემიკოსი ბრუნო პონტეკორვო (ცენტრში) თსუ
მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტში, 1981 წ.*

[1] ლევ ლანდაუ – თანამედროვეობის გამოჩენილი ფიზიკოსი (დაბ.1908წ.), ნობელის პრემიის ლაურეატი, სსრკ მეცნ.აკადემიის აკადემიკოსი, სოც.შრომის გმირი. დაიბადა ბაქოში. მამა შემღებული ინჟინერი იყო, დედა_პროფესორი. ბაქოს ეკონომიკური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ სწავლა ლენინგრადის უნივერსიტეტში გააგრძელა. 1927 წელს მიავლინეს უცხოეთში, მათ შორის ნ. ბორთან. 1937 წელს დააპატიმრეს, მაგრამ აკად. პ. კაპიცას ძალისხმევით მალე გაანთავისუფლეს. ატომური ბომბის გათვლებში მისი წვლილიცაა, მაგრამ არ უნდოდა ტექნიკის

განხრით მუშაობა. ამიტომ დაავალა შუამავლობა და საავტორო უფლებები გადასცა ახალგაზრდა ბ. ზელდოვიჩს, რომელიც შემდგომ სამგზის სოც. შრომის გმირი გახდა.

1962 წლის იანვარში მის საყვარელ მოწაფეს_ ს.გერნშტეინს (ამჟამად ცნობილ აკადემიკოსს), დუბნაში ცოლი გაცილდა და სიომა მძიმე დეპრესიაში ჩავარდა.

დუბნის ფიზიკოსებიც დაჟინებით თხოვდნენ სემინარზე ჩასვლას. მოსკოვიდან დუბნაში ერთ-ერთი მოწაფის ავტომანქანით გაემგზავრა (სადაც მოყვა ავტოკატასტროფაში). ავტოავარიის შედეგად დაინვალიდა. ამავე წელს მისცეს ნობელის პრემია. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 1979 წელს.

მეუღლე კორა დრობანცევა, ქიმიკოსი, ულამაზესი, ძლიერი ხასიათის ქალი იყო. მათ დარჩათ ერთი შვილი – იგორი. კორამ დარჩენილი სიცოცხლე მოგონებების წერას მონადომა და 16 წლის შემდეგ გარდაიცვალა.

[2] მსტისლავ როსტროპოვიჩი (დაბ.1927წ., ბაქო) _თანამედროვეობის გამოჩენილი ვიოლონჩელისტი, დირიჟორი და საზოგადო მოღვაწე. დაიბადა მუსიკოსების შეძლებულ ოჯახში. მამის გარდაცვალების შემდეგ გაუჭირდა ცხოვრება, ისწავლა საყოფაცხოვრებო ტექნიკის რემონტი. 1951 წ. მიიღო სახელმწიფო, 1964 წ._ლენინური პრემია. ბრეჟნევის მმართველობის წლებში (მწერალ სოლჟენიცინის მხარდაჭერის გამო) შეუზღუდეს საკონცერტო მოღვაწეობა. გენიალური მუსიკოსი იტანჯებოდა პროვინციებში ჩატარებული კონცერტებით. დაიწყო ლოთობა. . .

1974წ. იძულებული გახდა დაეტოვებინა ქვეყანა. 4 წლის შემდეგ კი მეუღლესთან ერთად ჩამოართვეს მოქალაქეობა. აშშ-ში როსტროპოვიჩმა დიდი აღიარება მოიპოვა. გახდა ბევრი ქალაქის საპატიო მოქალაქე, მსოფლიოს 11 ქალაქში დაიდო ბინა. გორბაჩოვის ინიციატივით დაბრუნდა მოსკოვში. გარდაიცვალა 2007 წ.

მეუღლე გალინა ვიშნევსკაია (პირველი ქმრის გვარია) ცნობილი საოპერო მომღერალი, სსრკ სახალხო არტისტი, ძლიერი ნებისყოფის, ულამაზესი ქალი იყო.

დაწერა საინტერესო მოგონებები. ის დღესაც მუშაობს, 84 წლის ასაკში, მის მიერ ჩამოყალიბებულ საოპერო სასწავლებელში. ჰყავს ორი ქალიშვილი.

[3] ლევ პონტრიაგინი (დაბ.1908წ., მოსკოვი) – გამოჩენილი მათემატიკოსი, სსრკ მეცნ.აკადემიის აკადემიკოსი, სოც.შრომის გმირი. დიდი წვლილი შეიტანა მართვის თეორიის განვითარებაში. მძიმე ბავშვობა ჰქონდა – 13 წლის ასაკში ნავთქურის აფეთქებისგან დაკარგა მხედველობა. დიდი ძალისხმევით დაამთავრა სკოლა, შემდეგ უნივერსიტეტი (ლექციებს ღამით იზეპირებდა). რამდენჯერმე დაენგრა ოჯახი. დატოვა მოგონებები, სადაც იშვიათი სიმართლითაა აღწერილი მისი პირადი ცხოვრება.

დუბნა, მოსკოვის ოლქი (1966 – 1970)

Люди нелепы. Они никогда не пользуются

свободой, которая у них есть и требуют той,

которой у них нет

Нильс Бор

ქ. დუბნაში თბილისიდან ზაფხულში ჩავედი. გამანაწილეს ყველაზე პრესტიჟულ საერთო საცხოვრებელში, ორსართულიან სახლში ჟოლიო-კიურის ქუჩაზე. დერეფნის ბოლოში, ე.წ. «ქართველების ოთახში», ადგილი არ იყო და როგორც მაინც «აზიატს», კუთხე უზბეკების ოთხკაციან ოთახში გამომიყვეს.



თეორიული ფიზიკის ლაბორატორია. 1965 წ.

კარგი ბიჭები იყვნენ, მათ შორის ტოლიბი (შემდგომში უზბეკეთის ცკ პირველი მდივნის, რაშიდოვის სიძე, პროფესორი) და მაქსუდი (სამარყანდის უნივერსიტეტის მომავალი პრორექტორი) გახლდათ. კვირაობით ფლავს ხარშავდნენ ხოლმე. მეზობელ ოთახებში მცხოვრები ამხანაგებიც, დღეს ცნობილი მეცნიერები არიან: ბაქოელი აკადემიკოსი რუფატ მირ-კასიმოვი, პროფესორები ვ. გარსევანიშვილი, ჯ. ხუბუა, ლ. ლლონტი და სხვ.

ნაქირავებში ან სხვა საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდნენ მომავალი პროფესორები: ა.კვინიხიძე, ფ. ტყეშუჩავა, ლ. სლეპჩენკო, მ. ელიაშვილი, შ. ვაშაკიძე, ი. თევზაძე, მ. მესტვირიშვილი, თ. გრიგალაშვილი, ასევე შ. შოშიაშვილი, გ. რჩელიშვილი, მ.ჯღარკავა, ვ. ალიზაძე და სხვ.



*ფიზიკოსები: ა. კვინიხიძე, მ. ელიაშვილი, ა. კერესელიძე, ლ. ლლონტი,
ლ. სლეპჩენკო, ფ. ტყეშელაშვილი, ო. შუდრა, მ. ჯღააკაია, ნ. კუციდი, მ. ჩავჭავჭავაძე
სასტუმრო "დუბნა"-სთან 1969 წ.*

ჩემი ხელმძღვანელი იური კარაჯიანი (მაშინ სიმპათიური გარეგნობის ახალგაზრდა მეცნიერი, ავტომატიზაციის განყოფილების გამგე), ჟენევაში რამდენიმე თვით გახლდათ მივლინებული. კვირა დღე იყო. ლაბორატორიაში ვმუშაობდი, ექსპერიმენტული კომპლექსის ახალ პროექტს ვამზადებდი. შენობაში მარტო მე ვიყავი. ამ დროს შემოვიდა კარაჯიანი . დაინტერესდა პროექტით, გაიტანა თავის ოთახში და ათიოდე წუთში მათთან სამუშაოდ გადასვლა შემომთავაზა, ცხადია, უნივერსიტეტზე მეტ ხელფასზე. უნივერსიტეტის ღირებულება გამოდიოდა, ამიტომ უარი ვუთხარი..... შემდეგ კი უფროსი ინჟინრის ნახევარგანაკვეთზე შევთანხმდით. ასე ვიღებდი ხელფასს ასპირანტურის სტიპენდიასთან ერთად 1970 წლამდე.

უზბეკებიდან მალე ოთხადგილიან ოთახში გადავედი, სადაც სულ ორნი ვიყავით. იდეალურად ვგრძნობდი თავს, მაგრამ შემდეგ შემოასახლეს თეორეტიკოსი, რომელიც ღამით კბილებს საშინლად აღრჭიალებდა და მთელი ღამე შიშით არ მეძინა. ერთი თვით პოლონელ მეგობართან, მიხას ტურალასთან გადავედი, რომელსაც ქალაქში ოროთახიანი ბინა ჰქონდა, შემდეგ კი მომიწია ბინის დაქირავება, რაც დიდი პრობლემას წაროადგენდა დუბნაში. საერთო საცხოვრებელზე ჩემმა ხელმძღვანელმა, კარჟავინმა ჩემი თანდასწრებით თხოვა ლაბორატორიაში მოსულ თვით ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს. მის პასუხზე: Нет мест, я даже физикам ГДР отказал, კარჟავინმა იუმორით უპასუხა: Он тоже из ГДР -Грузинская Демократическая Республика.

ყველას გაეცინა, მაშინ გავრცელებული ანეკდოტი გაგვახსენდა: Поезд отправляется из Тбилиси в Советский союз .



დუბნა 1967 წელს

ასე დეტალურად იმიტომ აღვწერ საცხოვრებელ პირობებს, რომ იმ წლებში, ვგრძნობდი ბევრ ამხანაგს არ მოწონდა ჩემი „უწესო“ პირადი ცხოვრების სტილი ... ღმერთია მოწმე, ყველაფერი ვიღონე, რათა ასე ხშირად არ მეცვალა «გამოძინების ადგილი» ... ფაქტიურად, თბილისშიც იმიტომ დავბრუნდი 1970 წლის იანვარში, რომ

დასახლისმა (მაშინ დასახლება «ბოლშაია ვოლგაზე» ვცხოვრობდი) ბინის დაცლა მთხოვა.

ნაქირავებ ბინაში ბანაობის პირობები არ იყო. ხშირად მიწევდა ხოლმე საერთო საცხოვრებელში შეპარვა, შემდეგ ჩემს ამხანაგთან მოსვენება და გარეთ საღამოს 10 საათზე მინუს 20 -30 გრადუსიან ყინვაში ავტობუსის ლოდინი. ალბათ, ახალგაზრდობის გამო, თორემ ახლაც მიკვირს, რომ არ გავცივდი ასეთ პირობებში. უბრალო გრიპით ჩაწოლაც პრობლემა გახლდათ _თორემ ვინ იყო ან სადილის გამკეთებელი ან წამლის მომტანი? გამოსავალი ... საწოლის ქვეშ რამდენიმე ბოთლი თბილისიდან ხელოსნებისთვის გამოტანებული არყის თუ სპირტის ბოთლები ეწყო, მუდამ მტვრიანი (რადგან, მე სასმელს საერთოდ არ ვსვამ დღემდე). სიცხიანი, ძლივს ვახერხებდი ბოთლის გამოღებას, საცობის მოხსნას. ეს იყო ჩემი სადილიც, ვახშამიც და წამალიც, მეორე დღეს კი თავს უკეთ ვგრძნობდი და მივდიოდი სამსახურში.

წამყვანი მეცნიერები, აკადემიკოსები ორსართულიან კოტეჯებში ცხოვრობდნენ, სადაც რატომღაც, ბალახი ყოველთვის მოუთიბავი იყო. ავტომანქანა «ვოლგის» გარდა ეზოში პატარა კატარა _ გლისერი ჩანდა ხოლმე. მაგრამ ეს არავის უკვირდა და სამსახურში ველოსიპედით დადიოდნენ. კოტეჯები უბრალოდ იყო მოწყობილი და დერეფნებში «ბუნებრივი ცხოვრების სტილი» იგრძნობოდა: რეზინის ჩექმები, თევზსაჭერი ბადეები, ჩოგბურთის რაკეტები, წყლის თხილამურები და ა.შ... პარკეტი, ეგრედწოდებული «ხრუსტალი» და «ევრორემონტები» მე იქ არ მინახავს.

«ბირთვული ფიზიკის» მთელს ქვეყანაში აღიარებული სახელმძღვანელობის ავტორებს, მოსკოვის უნივერსიტეტის ლექტორებს, ავტორიტეტის გარეგნული ატრიბუტიკა უბრალოდ, არ სჭირდებოდათ.

ცხოვრების საერთო სტილის ზეგავლენით, მეც აღარ ვაქცევდი ყურადღებას ჩაცმას, ყოველდღე აღარ ვიპარსავდი წვერს, ამოვიჩემე ზოლებიანი მოკლე-სახელოებიანი პერანგი, რომელიც თურმე ადგილობრივი ლოთების, ასე ვთქვათ, „სპეცტანსაცმელი“ ყოფილა.

ამიტომ «მეცნიერთა სახლის» (როგორც ჩვენ ვუწოდებდით ДУ) კაფეში, სადაც ჩვენს ასპირანტებს საშვის გარეშეც უშვებდნენ, მე კარში მდგომი მორიგე ქალი უხეშად უკან მაგდებდა. დღემდე მიკვირს, რატომ არ ვთხოვე ამ საქმის მოგვარება ჩემს ხელმძღვანელს ან მეცნიერთა სახლის დირექტორს, რატომ ვითმენდი ესეთ შეურაცხყოფას?

თუმცა, ინტერნეტით ახლახანს გავიგე, რომ დირექტორი მიხეილ ლებედენკო დუბნის რეჟიმის (ანუ დაცვის) დარგში დირექტორის მოადგილე ტერეხინთან ერთად იარაღით პირადად ხვრეტდა მშენებლობაზე მომუშავე პატიმრებს.

თბილისის მერე ძალიან მიჭირდა პატარა ქალაქის ფსიქოლოგიის შეგუება, სამსახურის დერეფანში მთელი დღე რომ ხედავ ადამიანს, იგივეს ხედავ სასადილოში. საღამოს, როცა დღის შთაბეჭდილებებს გინდა გამოეთიშო, იგივე თანამშრომელია კინოში, სკვერში. იმდენად მომენატრა დიდი ქალაქის სივრცეები, რომ ერთხელ ავტობუსში ჩავჯექი და ერთსაათიან წრიულ რეისზე გულს ვაყოლებდი ...

დუბნაში იმ წლებში 15 ათასი მცხოვრები იყო (2008 წელს 30 ათასი გახდა. მეორე, საქარხნო ნაპირის ჩათვლით კი 60 ათასი).

უფრო პატარა ქალაქია ფიზიკოსთა მეორე ცენტრი სერპუხოვის ახლოს – პროტვინო, რომელზეც ასეთი ანეგდოტი მიაძებს: დუბნაში შენობიდან გამობვალ თუ არა, შენზე ჭორი მაშინვე ვრცელდება, პროტვინოში კი – შენობიდან გამოსვლამდეო ...

დუბნაში განსაკუთრებული მომარაგება იყო, ცხოვრება კი ძალიან იაფი, ჩემი ორმაგი ხელფასი სად წამელო, არ ვიცოდი. ნაქირავები ბინა 25 მანეთი ღირდა, ცოდნის შეძენით ვიყავი გატაცებული და ფული სულ არ მაინტერესებდა, ამიტომ ოთახში, რომლის კარი არ იხურებოდა და ბინის პატრონთან, მოხუც ცოლ-ქმართან გადიოდა, მაგიდაზე ფეხსაცმლის ყუთში ხელფასს უკონტროლოდ ვყრიდი. სუფთა

შალის, ყველაზე ძვირფასი სვიტრი, რომელშიც 50 მანეთი მივეცი, ახლაც, 43 წლის შემდეგ, აგარაკზე მაცვია...

კიდევ ერთი მაგალითი: თბილისიდან ჩამოსულ მეგობარ გოგონასათვის პატივი მინდოდა მეცა, და რესტორანში სულ ... 5 მანეთი გვიანგარიშეს.

ახლა ძნელი წარმოსადგენია მაგრამ, როდესაც 1956 წელს ქალაქის სახელზე კამათობდნენ, მეცნიერთა წინადადება იყო „ლეპილოვი“ ან „მემჩერიაკოვი“, მაგრამ მოსკოვმა დაამტკიცა მდინარის სახელი, ქალაქი დუბნა (წინა წლებში კი დასახლებას დუბნო ერქვა). ჭკვიანური გადაწყვეტილება იყო, რადგან 2000 წელს, როცა დუბნის მშენებლის, ლეპილოვის ძეგლის დადგმა უნდოდათ, წამყვანი მეცნიერები წინაღობდნენ იყვნენ, რადგან ის ფაქტიურად დამონებულ პატიმართა ბანაკის უფროსი გახლდათ. ლეპილოვი ავტოავარიაში გარდაიცვალა.

იმ წლებში გარდაიცვალა მსოფლიოში თავის დროზე უდიდისი სინქროფაზოტრონის შემქმნელი აკადემიკოსი ვექსლერი. დავესწარი მეცნიერებათა აკადემიიდან მის გამოსვენებას. კუბო გამოიტანეს აკადემიის პრეზიდენტმა კელდიშმა[2], აკადემიკოსმა მილიონშიკოვმა და სხვებმა.

კელდიშის დედა _ სკვორცოვა თბილისელი იყო. მამით კი ბოშურ-პოლონური წარმოშობა ჰქონდა (ამიტომაც იყო შავთვალწარბა). მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა მთვარეზე კოსმონავტები გაუშვეს და ჩვენი კოსმოსური პროგრამა სამარცხვინოდ ჩამორჩა, კელდიშმა ჯერ განცხადება დაწერა წასვლაზე, შემდეგ კი დეპრესია დაეწყო და თავის აგარაკის გარაჟში მანქანის გამონაბოლქვით თავი მოიკლა. მილიონშიკოვმა კი (რომელიც მუდამ სახეაწითლებული იყო ხოლმე), იმდენი გააკეთა, რომ ავტოავარიაში მოხვედრილ აკადემიკოს ლანდაუს საავადმყოფოდან შინ გადაყვანა შუა ზამთარში მოითხოვა. მას ეზოში სეირნობისას ფეხის თითის მოყინვისგან ჯანმრთელობა შეერყა და მალე გარდაიცვალა.....

ვექსლერი 14 წლის ასაკში გაექცა დედას, საექვო ყოფაქცევის ქალს და კომუნაში ცხოვრობდა (ვექსლერი მამინაცვლის გვარია). მეუღლე მოსკოვის უნივერსიტეტის

პროფესორი ყავდა. გასაიდუმლოების გამო, მისი აღმოჩენა ვერ წარადგინეს ნობელის პრემიაზე. 56 წლის ასაკში მეორე ცოლთან შვილი შეეძინა და თვითონ 3 წელიწადში გარდაიცვალა. ახალგაზრდა, 25 წლის შავკაბიან გოგონას დანახვაზე საზოგადოება დაკრძალვისას, სამწუხაროდ, ოხუნჯობდა: “60 წელს მიტანებული ქმარი უყვარს, თუ მისი დატოვებული ქონებაო?!”

ისევე, როგორც ევროპაში, დუბნაშიც სამსახურში ველოსიპედით სიარული მოდაში იყო. ერთხელ, საპირველმაისო დემონსტრაციის შემდეგ ტრიბუნაზე ავედი, ჩვენი დირექტორის მოადგილის, ნ. გოგორუნის[1] სანახავად. მას შარვლის ტოტზე... სარეცხის ხის საჭერი ეკიდა – ველოსიპედის გაპოხილი ჯაჭვისგან დასაცავად.

იმ წლებში ქალაქში ქურდობას ადგილი არ ჰქონდა. ერთხელ, სასტუმროს წინ ველოსიპედი მთელი ღამით დამრჩა. დილით ბინიდან რომ გავვედი, მერე გამახსენდა, ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ადგილზე დამხვდებოდა.



დუბნა. ხედი ვოლგიდან



ო. შუდრა. 1967წ.

სუფთა, პატარა, მწვანე ქალაქს კეთილმოწყობილ საერთაშორისო სასტუმროთი, ხშირად იყენებდნენ სპორტსმენების დასასვენებლად. სასტუმროს ვესტიბულში გავიცანი იმ დროისთვის ცნობილი მოჭადრაკე (ნონა გაფრინდაშვილის მოსკოველი მეტოქე) ალა კუმირი, ძალოსანი ჟაბოტინსკი და სხვები.

ლაბორატორიის დირექტორის, მეშჩერიაკოვის მოადგილე გიორგი ზაბიაკინი იყო. ჩემს ხელმძღვანელს, კარჟავინს მასთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა (მიაჩნდა, რომ ჟენევაში ყოფნისას მისი თანამდებობა დაიკავა).

ზაბიაკინმა, კარიერის ზენიტს რომ მიაღწია, (მეცნიერებათა დოქტორი, კარგი მანქანა, კარგი ოჯახი, მოსკოვში სხვადასხვა კომიტეტების წევრი) თავისი მდივანი საყვარლად გაიხადა, საქმეები და ავტორიტეტი აერია, მოუწია მოსკოვში გადასვლა და ისე გალოთდა, რომ გელენჯიკში, ავტომატიზაციის ტრადიციულ საკავშირო კონფერენციაზე, დავინახე, თუ როგორ შემოვიდა მთვრალი აუდიტორიაში და სიტყვა გააწყვეტინა მომხსენებელს. ბოლოს ის მოსკოვში კოსმოსური კვლევების ინსტიტუტში (ИКИ) მივლინებისას ვნახე. ინსტიტუტის დირექტორი ცნობილი აკადემიკოსი რ. საგდევი იყო (2000 წლებში ის ამერიკაში გადავიდა საცხოვრებლად).

ზაბიაკინი ერთ პატარა, მტვრიანი აპარატურით მოწყობილ ოთახში იჯდა. მოტეხილი ცხოვრებისაგან, ლოთობისაგან, აპათიური. ჩემთვის საშვის დაშვებას აკიანურებდა _ ალბათ, არ უნდოდა, რომ ამ მდგომარეობაში მენახა.

დუბნაში შევიძინე მეგობრები, ამხანაგები, ყველა მენდობოდა. ჩემთან მივლინებით ჩამოდიოდნენ მოსკოვიდან (მახსოვს ФИАН, საავიაციო მოტორების ცენტრალური ინსტიტუტი ЦНИИАМ, მოსკოვის უნივერსიტეტი), ტომსკის უნივერსიტეტიდან, ალმა-ათის ფიზიკის ინსტიტუტიდან, ჟუკოვსკიდან (ЦАГИ), თბილისიდან (ვეკუას, ფიზიკის ინსტიტუტი) და სხვ. იმდენად გავთამამდი, რომ როცა ნობელის პრემიის ლაურეატს, აკადემიკოს პავლე ჩერენკოვს ჩემთან მივლინებით თანამშრომლების გამოგზავნა უნდოდა, მე მას დეპეშა გავუგზავნე, რომელიც (როგორც ჩვენი დირექტორის მდივანმა მითხრა),მას არ მოეწონა. კარგ სამუშაო ფორმაში ვიყავი, ამიტომ ჩემი გადაბირება (კარჟავინის გარდა) სხვებმაც მოინდომეს.

თბილისიდან ჩამოვიდა ფიზიკის ინსტიტუტის ცნობილი მეცნიერი ნინა როინიშვილი, რომელმაც ფრთხილად ჩამომიგდო სამსახურის შეცვლაზე საუბარი,

მაგრამ ბოლოს, თვალეზში შემომხედა და მითხრა – «მაგრამ ისიც ვიცი, რომ ერთგული ხართ ამაღლობელის და არაფერი გამოვა».

რომანტიკულია ჩვენი გაცნობის ისტორია.....მე ყირიმში, ალუმტის კონფერენციაზე ვიყავი. რატომღაც ჩვენს ავტობუსს გავყევი აეროპორტში კონფერენციის მონაწილეების დასახვედრად. გზაში გავიცანი ჩემი გაგებით სიმპათიური, ახალგაზრდა ქალი თბილისიდან, რომელმაც მითხრა, რომ ის დაპროგრამებაში მუშაობს. რამდენიმე დღე პლაჟზე მის გვერდით ყოფნას ვცდილობდი, ვიდრე ჩვენმა თანამშრომელმა, ნოდარის ო თანაკურსელმა ბიჭიკო ცინცაძემ არ მითხრა, რომ ეს ქალი ცნობილი მეცნიერი ნინო როინიშვილია, გათხოვილია და ქმარიც ფიზიკის ინსტიტუტში დირექტორის მოადგილეა.

ინსტიტუტიდან სისტემატურად მიგზავნიდნენ მათთვის დეფიციტურ რადიოდეტალების სიას. ჩვენი ლაბორატორიის დავალებების გარდა, მომარაგებას ამაღლობელთან შეთანხმებით, სხვა ლაბორატორიებიც მთხოვდნენ. ასეთი იყო, მაგალითად: მურიკო ჩიხლაძის ლაბორატორია. აქ არაფერია ისეთი, ერთი მომენტის გარდა, ჩემი თბილისში დაბრუნების შემდეგ ...მათ შეხვედრისას სალამიც კი ავიწყდებოდათ.

ერთ წვიმიან დღეს დუბნის საცდელ წარმოებაში ჩვენი შეკვეთის მომარაგებისთვის თბილისიდან გამოაგზავნეს უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ინჟინერი ჯუმბერ ლეჟავა. მავთულის მძიმე შეკვრა ეჭირა. მივაცილე ქარხანამდე. იმ დღიდან ჩვენ დავმეგობრდით. ჯუმბერი უნივერსიტეტის შემდეგ მეცნიერების და ტექნოლოგიების სამინისტროში მუშაობდა. მეუღლის გარდაცვალება ძალზე განიცადა, ერთ-ერთ ოთახში მისი მუზეუმიც მოაწყო და სტრესისგან სპორტზე გადაერთო, გინესის რეკორდების წიგნში შევიდა და ცნობილი ველომოგზაური გახდა.

დაახლოებით ერთი წელი მე, ინჟინერი სლავა სემიონოვი და ალმა-ათელი ჟენია ლობანოვი ახალი ავტომატიზებული სისტემის შექმნაზე ვმუშაობდით.

რაციონალური წინადადებების მოწმობებიც მივიღეთ. არავინ ჩვენს საქმეში არ ერეოდა (არაგეგმიური სამუშაო იყო). მოახლოებულ ადგილობრივ კონფერენციაზე (ნ. გოვორუნი[1] ხელმძღვანელობდა) ჩვენი ნაშრომის გატანა გადავწყვიტეთ. ეს ჩემი პირველი სამეცნიერო შრომა იყო და ბუნებრივია, ძალიან მონდომებული ვიყავი, მაგრამ ...



ჩვენს მიერ შექმნილი ინტერფეისი ბესმ-4

კომპიუტერისთვის. 1967 წ

კონფერენციაზე გამოსვლას ესწრებოდა ჩვენი კოლეგა, ინჟინერი ერმოლაევი, რომელსაც თურმე, ეს მასალა თავისი დისერტაციისთვის უნდოდა, მაგრამ, ჩვენთან ამ თემაზე საუბრისგან თავს იკავებდა (თუმცა, წვრილმან ინტრიგებს კი მიწყობდა). ისარგებლა იმით, რომ ჩემი გამოუცდელით განყოფილების გამგე კარჟავინი თანაავტორად არ შევიყვანე, კონფერენციაზე განხილული მოხსენება ამოიღო შრომების თეზისებიდან და მთელი განყოფილება ამიმხედრა (რამდენიმე წელიწადში, დაცვის შემდეგ ერმოლაევი გადავიდა ქარხანაში სამუშაოდ, დატოვა ცოლ-შვილი და ახალგაზრდა ცოლი მოიყვანა). მაშინ მე იმდენად ვიყავი გაოგნებული, რომ თავის დაცვაც კი არ მიცდია: ახალგაზრდა მეცნიერს პირველ

შრომში, პირიქით, ხელი უნდა გაუმართო. ყველაფერი დასრულდა კარჟავინის «ბრძნული» გადაწყვეტილებით: *Езжайте в свою Грузию и там защищаетесь.*

ამაღლობელმაც ჩათვალა, რომ რუსებთან წინააღმდეგობას აზრი არ ქონდა და ჩემი წლობით ნამუშევარი ასე მიეწერა სხვის დისერტაციას.

კარჟავინს რამდენიმე წელიწადში განყოფილება დაუხურეს, მოუწია მოსკოვში გადასვლა კურჩატოვის სახელობის ატომური ენერჯის ინსტიტუტში, შემდეგ სხვა კვლევით ინსტიტუტში. 2003 წელს გარდაიცვალა.

განცდილმა სტრესმა, რასაკვირველია კვალი დატოვა ჩემს ჯანმრთელობაზე – დამეწყო ალერგია ყვავილების მტვერზე, ნევროზი და სხვ.

[1] ნიკოლოზ გოგორუნი (დაბ.1930წ.) – მათემატიკოსი, სსრკ მეცნ.აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ბავშვობა სამამულო ომის დროს ოკუპირებულ ლუგანსკში (უკრაინა) გაატარა. დაიჭრა ფეხში, მკურნალობდა საქართველოში. დიდხანს მუშაობდა დუბნაში, გამოთვლითი ტექნიკის ლაბორატორიის დირექტორის მოადგილედ, სადაც მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ეგმ “ბესმ-6”-ის პროგრამული უზრუნველყოფა.

[2] მსტისლავ კელდიში (დაბ.1911წ., რიგა) - გამოჩენილი მათემატიკოსი, სსრკ მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი (35 წლის ასაკში), სამგზის სოც.შრომის გმირი. ამ წოდებით დაჯილდოებული იყო მხოლოდ 11 მეცნიერი: ტუპოლევი, სახაროვი, კურჩატოვი, ილუმინი, ალექსანდროვი, შჩოლკინი, სლავსკი, ვანიკოვი, ზელდოვიჩი, ხარიტონი და დუბოვი. 1973 წელს ფეხზე ოპერაციის შემდეგ, დაკარგა შრომის უნარი და 64 წლის ასაკში მოითხოვა (არ უშვებდნენ), მეცნ.აკადემიის პრეზიდენტობის თანამდებობიდან გათავისუფლება.

ინსტიტუტის დირექციაში(1980-1996წწ.)

სიწმინდის გზა ცოდვაზე გადის

სიორენ კირკეგორი

Кто прячет прошлое ревниво

Тот вряд ли в будущем в ладу. . .

А. Твардовский

1979 წლის სექტემბერში მივიღეთ მოსკოვის დადგენილება თბილისში მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტის გახსნის შესახებ. მანამდე კი, რამდენიმე თვით ადრე, ჩვენთან მოვიდა ედუარდ შევარდნაძე, რესპუბლიკის პირველი პირი. შაბათი დღე იყო, კარგი ამინდი. ამაღლობელს შევარდნაძის მიღება ჩემს ოთახში უნდოდა (ყველაზე კარგი ავეჯი იდგა). ვიდექით მეორე სართულის ფანჯარასთან და ველოდით მანქანის გამოჩენას. მაგიდაზე ინსტიტუტის ფოტოალბომი და ჩვენი საცდელი წარმოების პროდუქცია – ნაბეჭდი პლატა იდო. ამაღლობელი ნერვიულობდა, რამდენჯერმე შემახსენა, რომ მე დროულად გავსულიყავი ოთახიდან.



ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფი. 80-იანი წლები


მალე გამოჩნდა შევარდნაძე, გზაზე ფეხით მოდიოდა, უკან კი შავი «ვოლგა» მოყვებოდა, რომელშიც მხოლოდ მძღოლი იჯდა. . .

დავინახე თუ არა დერეფანში შევარდნაძე და ამაღლობელი, კარებში გამოვედი, შევარდნაძემ ხელი ჩამომართვა და ოთახში შევიდა. ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ წარმომიდგენია, დღევანდელი ქვეყნის მეთაური, სააკაშვილი რომ მოსულიყო, რა ამბავი იქნებოდა _ პატრული, ფერადი ნათურების ციმციმი, დაცვის ბიჭები მინი-რაციებით. . .

ამაღლობელი თვლიდა, რომ 200-300 კაციანი ინსტიტუტი სირცხვილია, ჩვენ უნდა გავხდეთ ათასკაციანი, როგორც ფიზიკის ინსტიტუტია. საერთო კრებაზე გვიჩვენეს არქიტექტორების ნამუშევარი სტენდები _ ორი მრავალსართულიანი კორპუსი. იგი ხაზს უსვამდა, რომ რადგან წყნეთის გზიდან ინსტიტუტი კარგად ჩანდა, სადაც მთავრობა დადიოდა, ეს კარგი რეკლამა იქნებოდა. . .

ბრეჟნევის მმართველობის ბოლო წლებში ცხოვრება გაჩერებული იყო. იმ დროს ინსტიტუტის გახსნა ამაღლობელის სიტყვებით, მართლაც «ფლუქტუაციად» ჩანდა. ჩვენ ვიცოდით, რომ ეს შევარდნაძის და აკადემიის პრეზიდენტ ევგენი ხარაძის დამსახურება იყო.

ინსტიტუტისთვის შტატების გამოყოფამდე, 1980 წელს ამაღლობელმა დუბნიდან ჩემი ხელმძღვანელი, პროფესორი იური კარაჟავინი მოიწვია – სჭირდებოდა კონსულტაცია საცდელი წარმოების ამოცანების შესახებ.



ექსპერიმენტული ინფორმაციის დამუშავების სისტემა (საგამოფენო მაკეტი).

დავათვალე რებინეთ ჩვენი ექსპერიმენტები, ჩემი აწყობილი სისტემა (ვეკუას[1] ინსტიტუტის შენობაში). კარაჟავინმა გაიხსენა: «Вдруг вижу монтажники стали лучше работать, наверно, без бутылки не обошлось? «

– “Да, у Омара есть организационная хватка” – უპასუხა ამაღლობელმა.

ნოდარის დავალებით კარაჟავინს წავეყვი ხელოვნების მუზეუმში ფიროსმანის ნახატების სანახავად. მან ვერაფერი გაუგო ამ ნახატებს. მართალი გითხრათ, მეც ვერ აუხსენი, რაშია სურათების გენიალურობა. ისედაც ცუდ ხასიათზე ვიყავი, სულ მახსენდებოდა მისი უყურადღებობა დუბნის წლებში.

საცდელი წარმოების პრობლემებზე მოვიწვიეთ აგრეთვე გერმანელი რუდოლფ პოზე დუბნის დირექციიდან. აეროპორტში დახვედრის შემდეგ რესტორან «კრწანისში» (მტკვრის სანაპიროზე) ვივახშმეთ, მეორე დღეს კი რესტორან «საქართველოში» ვისადილეთ. აქ ოფიციალტმა ამაღლობელს ძვირი – 90 მანეთი უნაგარიშა. ნოდარმა ვესტიბულში ცალკე გამიყვანა – «ჯიბეში ფული ხომ არ გაქვს – 25 მანეთი დამაკლდა» და მეც ფული გავუწოდე. ერთი კვირის შემდეგ, მიუხედავად ჩემი უარისა, მაინც დამიბრუნა.

პოზე ივლისის თვეში ჩამოვიდა, საშინელ სიცხეში. ოფლი ნაკადებად ჩამომდიოდა ამაღლობელის გახურებულ «მოსკვიჩში». ბოტანიკური ბაღის გვირაბი ამ სიცხეში სამოთხედ მოგვეჩვენა – იქ კოსმოსური სხივების ლაბორატორია ვაჩვენეთ.

ასე ჩაეყარა საფუძველი 1980 წელს ინსტიტუტის გერმანიასთან კონტაქტებს. მამასთან შეხვედრისას ამაღლობელი ეუბნებოდა ხოლმე – «შვეიცარიაში თუ არ გამოვა, გერმანიაში მაინც გაუშვებ ომარის». ისე გამიშვეს პენსიაზე, უცხოეთში არცერთ მივლინებაში არ ვყოფილვარ. . .

ინსტიტუტის შტატები 1980 წლის გაზაფხულზე მოგვცეს. სამდივნოსთვის გამომიყვეს შტატები. შევარჩიე რამდენიმე გოგონა, ძირითადად, ნუცუბიძის პლატოზე არსებული მემენქანეთა კურსებიდან. კადრების ინსპექტორად ვერავინ შევარჩიე. მაშინ ამაღლობელმა მითხრა: «მთავრობის სახლში მთხოვეს მანანა მესხის (ახვლედიანის) დასაქმება». მეც დავეთანხმე.

– როგორ თვლი, ვინ იყოს ჩვენი პარტკომი? მკითხა მან.

– მეზონია ჯემალი – ვუპასუხე მე – კარგად ერკვევა საერთაშორისო და პოლიტიკურ საკითხებში, უყვარს კამათი.

მალე პროფ. თ.კოპალეიშვილის განყოფილების თანამშრომელი, პროფესორი მეზონია ინსტიტუტის პარტკომის გახდა, რამაც, მე მეზონი, ხელი შეუწყო მის ფიზიკის ფაკულტეტის დეკანად დაწინაურებაში.

ახლა რომ შევაჯამო ჩემი რეკომენდაციით კოლექტივში, შტატში აყვანილი თანამშრომელები – გრძელი სია გამოვა: ვ.კეკელიძე, გ. კეკელიძე, ზ.მოდებაძე, მ.გაბადაძე, მ.ჯღარკავა, ა. ზიროვა, ჯ. გეგია, მ. სტურუა, ნ. ყაველაშვილი, ნ. სკოგორევა, მ. ხაინდრავა, გ. ერისთავი, ვ. მამნიაშვილი, ა.ოდიშვილი და კიდევ ალბათ 10-15 კაცი.

კანცელარიის გამგედ (და შემდეგ ჩემს თანაშემწედ) შევარჩიე მარინა (მანანა) ჯანაშვილი, უნივერსიტეტდამთავრებული, აღმოსავლეთმცოდნე.



ინსტიტუტის ეზოში. საცდლი წარმოების დირექტორი ბ.ჭილაძე და სწავლული მდივანი ო.შუდრა

ინსტიტუტის გახსნის პირველ თვეებში, დერეფანში საშინელი ქაოსი იყო. 200 მდე თანამშრომელი მეორე სართულის მოკლე, ნახევრადბნელ დერეფანში მთელი დღე აფორიაქებული იქით-აქეთ დადიოდა. «ინსტიტუტი გაიხსნაო და ყველა ჭკუაზე შეირყა» – ამბობდა ჩვენი მომმარაგებელი, იუმორით სავსე ალეკო ჯანელიძე. მახსოვს, მე მობილიზაცია გაუკეთე მთელ ჩემს საორგანიზაციო გამოცდილებას, თავშეკავება გამოვიჩინე და ჩემი სიმშვიდით წესრიგის დამყარებას ვცდილობდი. მართლაც, რამდენიმე თვეში ყველაფერი დალაგდა.

რამდენიმე ადგილას ვიყავი, საარქივო აღრიცხვაზე ავიყვანე ინსტიტუტი, მივანიჭე საფოსტო მისამართი (ასე ვთქვათ, ჩემს ღონეზე, რადგან ორჯონიკიძის რაიონის ხელმძღვანელობამ ყურადღებაც კი არ მომაქცია). ასე მიენიჭა ჩვენს შენობას

ათეული წლებით (და ასეა დღესაც) «უნივერსიტეტის ქუჩა №9» მაშინ, როდესაც 2008 წელს თბილისის რუკაზე აღმოვაჩინე, რომ უნივერსიტეტის ქუჩა მაღლივი კორპუსიდან ქავთარაძის ქუჩისკენ უხვევს და ჩვენამდე არც აღწევს.....

ხშირად მიწევდა მთავრობის სახლში შესვლა. ჩვენი სამინისტრო შიგ იყო განთავსებული. ისე დავამუშავე შესვლის ტექნიკა (ჩაცმა, იერი, რომელიმე თანამშრომლის უკან გაყოლა) რომ წლობით ჩემთვის საშვი არ მოუთხოვიათ.

ტრადიციულად მოსაწყენი «ქალაქების საქმე» გადავწყვიტე საინტერესოდ გადამეცია და მასში პროფესიონალიზმი შემეტანა.

მე ვთვლიდი, რომ დირექტორის თანაშემწის თანამდებობა ჩემგან ჩრდილში ყოფნას მოითხოვდა, ამიტომ არასდროს გამოვდიოდი თათბირზე, არც ვკამათობდი. მე მწამდა, რომ უნდა შემექმნა, ასე ვთქვათ, „დამცავი შრე“ ფიზიკაში მომუშავე მეცნიერთათვის, დირექტორისათვის, რათა ყოველ ზედმეტ ქალაქს და ზემდგომ ჩინოვნიკურ ჩარევას ხელი არ შეეშალა ძირითადი საქმისათვის.

[1] ილია ვეკუა (დაბ.1907წ., სოფ.შეშელეთი) _სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოც.შრომის გმირი. 1951 წლამდე თბილისში მუშაობდა. 1950 წელს მიღებულ სტალინურ პრემიას მალე მოყვა საქ. კპ ცკ პარტიული სასჯელი (აკად. ნ.მუსხელიშვილთან ერთად) “კადრების დაწინაურებაში შეცდომებისთვის”. ი.ვეკუამ მუშაობა დაიწყო მოსკოვის ოლქში (ЦАГИ), შემდეგ გახდა ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის რექტორი. თბილისში 1965 წელს დაბრუნდა. იყო თსუ რექტორი, თსუ გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მეცნ. ხელმძღვანელი, მეცნ. აკადემიის პრეზიდენტი. სიცოცხლის ბოლო წლებში ყელის ოპერაციის გამო საუბარი

უჭირდა. ამ წლებში დაწერილმა მონოგრაფიამ სსრკ სახელმწიფო პრემია მიიღო. გარდაიცვალა 1977 წელს.

ნებისყოფა (აკადემიკოსი ნოდარ ამალღობელი)

«ქვეყნის ღერძს მართო ის ატრიალებს, ვისაც მიჰმადლებია გულთა სრულობა, დიდხასიათობა, იმისდა მიუხედავად, ტრიალი ემარჯვათ თუ ემარცხათ. ყოველგვად დიდებული საქმე, რითაც კი კაცობრიობა ჰქადაგლობს და თავს იწონებს, ქმნილია ხასიათიან კაცთა მიერ და არა ვისიმე სხვისაგან».

ილია ჭავჭავაძე

მას შემდეგ, რაც დოც. გივი ქანთარია (მაშინ ჩვენი კათედრის გამგემ), 1964 წელს უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ვესტიბიულში გამაცნო ნოდარ ამალღობელი, 40 წელი მის საზოგადოებაში გავატარე. ჩემი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან ეტაპზე, მასთან უშუალო ურთიერთობა მქონდა. მე ვიცნობდი ამალღობელს, როგორც უნივერსიტეტის ბირთვული ფიზიკის ლაბორატორიის თანამშრომელს, პრობლემური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგეს, ინსტიტუტის დირექტორს, უნივერსიტეტის პრორექტორს, რექტორს, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს და ბოლოს, თავმჯდომარეს.

მე მისგან ისე დიდად ვარ დავალებული (გზის არჩევა, პირველი მიღწევები, მხარდაჭერა რთულ სიტუაციებში), რომ ადვილია გადავარდე იდეალური ხატის შექმნაში (რასაც ხშირად ადგილი აქვს ხოლმე გამოჩენილი ადამიანის მოგონებებში). ასეთი კანონიკური სახე ძალზე უცხოა თვით ჩვენი “შეფისთვის” (როგორც

ვუწოდებდით ერთმანეთში თანამშრომლები). ის იყო ტემპერამენტიანი და მეზობელი ადამიანი, წინააღმდეგობებით და სისუსტეებით. სწორედ მისი ნატურის ეს შენადნობი ქმნის ცოცხალ ჩაუმქრალ სახეს...

მე მინახავს ამაღლობელი დინჯად მოსაუბრე და კეთილი ღიმილით სავსე, მინახავს ძლიერ აფორიაქებული, შეუპოვარი და ზოგჯერ დაუზოგავი ...

მის ძირითად თვისებებს უნდა მივაკუთვნოთ საქართველოს სიყვარული და აქედან გამომდინარე, ძლიერი მიზანსწრაფვა, უშრეტი ენერჯია, შინაგანი სიძლიერე, საქმისათვის თავდადება. ისე მოხდა, რომ მასზე თითქმის არაფერს წერდნენ სიცოცხლის პერიოდში, გარდაცვალების შემდეგ კი – მითუმეტეს. ამიტომ მინდა, ზოგი რამ მოვიგონო ჩვენი ერთად მუშაობიდან. იმედია, ზოგიერთი საიდუმლოს გამხელას ის მაპატიებს ...



ნ.ამაღლობელი უნივერსიტეტის

ლაბორატორიაში(კოლეგებთან ერთად)

1964 წ.

1964 წელს ამაღლობელს თსუ ფიზიკის ფაკულტეტის პირველ სართულზე ბირთვული ფიზიკის ლაბორატორიაში (გამგე პროფ. გიგა მირიანაშვილი) ერთი პატარა ოთახი ჰქონდა გამოყოფილი. თავისი ცოდნით ფაკულტეტის თანამშრომლებზე უკვე მაშინ ერთი თავით მაღლა იდგა და ყველა პატივისცემით

ექცეოდა. საქმისადმი ძალიან სერიოზული მიდგომა ქონდა, მიუხედავად ასაკისა (33 წლის იყო) ჩამოყალიბებული პიროვნება იყო და უკვირდა, როცა მისი «ქერქეტა» (მისი საყვარელი სიტყვაა) კოლეგები საქმიანი მოლაპარაკების პირობებს გადათქვამდნენ ხოლმე. «კი, მაგრამ, ხომ მოვილაპარაკეთ?» – ხშირად გამიგია მისგან ამ პერიოდში. ძალიან მომეწონა მისი ფრაზაც: «რას ნერვიულობ, ვერ ხედავ რომ გაუნათლებელი ხალხია გარშემო?»

ჩვენ, 23-24 წლის თანამშრომლებს, გვინერგავდა პროფესიონალიზმს. მას ყველანი უბრალოდ, სახელით მივმართავდით (ისევე როგორც ალეკო თავხელიძეს[1]). თვითონ (ვინაიდან შინ კაბინეტი არ ჰქონდა), სადამოობით რჩებოდა ხოლმე. ჩვენც მისი მიბაძვით, 8-9 საათამდე შინ არ მივდიოდით. ერთხელაც გვირჩია: «მე კი ვრჩები, მაგრამ თქვენ ახალგაზრდები ხართ, უნდა გაიარ-გამოიაროთ, ასე რომ, მე ნუ მიყურებთ».

მახსოვს, ახალი წლის საღამოს, მის მაგიდაზე პატარა სუფრა გაიშალა, ათიოდე ახალგაზრდა ვისხედით. ფიზიკოსმა ცუცნა ბურჭულაძემ (რომელიც შემდეგ დიდხანს მთავრობის სახლში მუშაობდა), ამაღლობელის სადღეგრძელო დალია: «რა ბედნიერი ხართ, რომ ასეთი ყურადღებიანი ხელმძღვანელი გყავთ, თორემ გიგა მირიანაშვილის ასპირანტი რომ ვიყავი, თავის მძიმე პორტფელს ოთახში დააგდებდა ხოლმე და არაფერში მხარში არ მედგა».

ამაღლობელმა თავის სადღეგრძელოში ახალგაზრდებს ცხოვრების რამდენიმე პრინციპი შეგვახსენა:

პირველი იყო – არ უნდა აწყენინოთ ადამიანს. შემდეგი – რაც მეტ ხალხს იცნობ, უფრო ადვილია ცხოვრება. მესამე – ჩვენ რომ გლეხები ვიყოთ, ჩვენი საქმე მოსავლის მოყვანა იქნებოდა, რადგან მეცნიერ-თანამშრომლები ვართ, ჩვენს საქმეში პროფესიონალები უნდა ვიყოთ. ერთ-ერთი პრინციპით კი – ადამიანს არ უნდა მისცე უფლება თავისი საქციელით ჩაგაშხამოს ცხოვრება და მოიყვანა თვალსაჩინო მაგალითი:

_ მე, რეზო სალუქვაძე და ალექო თავხელიძე მოსკოვის მატარებლით ვმგზავრობდით. რეზო და ალექო ქვევით განლაგდნენ, მე კი ზევით ავბვერი. იქვე ეძინა ვილაც მთვრალს, რომელიც მატარებლიდან შუალამეს ჩასულა. დილით, თბილისში რომ შემოვდიოდით და ჩაცმა დავიწყეთ, გავიგონეთ რეზოს გამწარებული გინება: მისი ფეხსაცმელი იმ ლოთის შა...დით იყო სავსე ...

საერთოდ, ამალლობელს უყვარდა ასეთ «ფაქიზ» თემებზე ხუმრობა. (ვიდრე რექტორი გახდებოდა, უფრო «ხალხური» ტერმინებით აზავებდა ხოლმე თავის ანეკდოტებს).

იმ წლებში მე აღფრთოვანებული ვიყავი ამალლობელის წესიერებით და პატიოსნებით. ერთხელ მეზობელი ლაბორატორიის გამგემ, ნოდარ გვილავამ, რომელთანაც ამალლობელის მეუღლე მერი გეთია მუშაობდა, ის ჩვენს ლაბორატორიაში რადიონაწილების «სასესხებლად» გამოაგზავნა. ამალლობელი არ იყო და „შეფის“ მეუღლეს, რასაკვირველია, ყველაფერი გავატანეთ, რაც ჭირდებოდა.

როგორც შემდგომ მ. გეთია ჰყვებოდა, ეს ნოდარმა რომ გაიგო, შინ გვიან მოსულმა, მიუხედავად იმისა, რომ სტუმრები დახვდა, არ მოერიდა და ბევრი იჩხუბა.

ჩემს შეკითხვაზე, თუ როგორ ზრდის ბიჭს, ერთხელ მითხრა: «ლაბორატორიიდან ნერვებმოშლილს ხშირად დამაბულობა ჩემს ბიჭზე გადამიტანია ... ძალიან მკაცრად ვზრდი ... საერთოდ, ომი მაქვს გამართული სახლში».

მანქანის საჭესთან რომ დაჯდა, ფეხით მოსიარულეებს გადასასვლელზე, სხვებისგან გასხვავებით, გზას უთმობდა ხოლმე (რაც იმ წლებში იშვიათი იყო თბილისში).

მიკვირდა ხოლმე, რომ ჩინოვნიკებს (მათ შორის ჩემი თაობის ახალგაზრდებს) დიდი პატივისცემით ესაუბრებოდა. ერთხელაც ჩემს გაოცებაზე მიპასუხა: « მათ გაკეთებით არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ, ზიანი კი შეიძლება მოგვიტანონ»...

ამაღლობელს არ მოსწონდა, რომ უცოლო ვიყავი. დუბნაში ყოფნისას ვუთხარი “ეს დისერტაციის მომზადებაში ხელს შემიშლის», რაზეც იუმორით მიპასუხა, შენი საქმე ისეა, მოცეკვავემ რომ თქვა ცეკვაში ყვ.. ..ბი მიშლისო» და რადგან მე სახეზე საპასუხო ღიმილი ვერ შემამჩნია, გაწითლდა.



ნ.ამაღლობელის სამუშაო ოთახი. 1970 წ.

მეორე მაგალითი: დუბნიდან ახალდაბრუნებული ვიყავი, შაბათობით ვმუშაობდით ხოლმე 13 საათამდე. თურმე ჩემთან მოსულა ჩემი ახალი მეგობარი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, იშვიათი სილამაზის გოგონა ლალი. მე რომ ლაბორატორიიდან წასვლა დავაპირე, ამაღლობელმა დელიკატურად შემაჩერა: «ჯერ არ წახვიდე, შენთან ლალი იყო და პირველ საათზე დავიბარე».

საერთოდ, აღსანიშნავია ჩვენი კოლექტივის საერთო ატმოსფერო და მისი მორალურ-ეთიკური საფუძველი – დემოკრატიული სული. იშვიათად მინახავს ინსტიტუტის დირექტორი, რომელსაც ნებისმიერი ახალგაზრდა თანამშრომელი საკმაოდ მწვავედ, როგორც ტოლს, ყოველგვარი შიშის გარეშე ეკამათება...

ჯერ კიდევ იმ წლებში ჯამრთელობის პრობლემები ჰქონდა, თუმცა არ იმჩნევდა. ერთხელ დუბნაში მივლინების წინ ელასტიკური ბინტის შოვნა მთხოვა და

რადგან ცუდად ვერკვეოდი ამ სფეროში, შარვლის ტოტი აიწია და ვენების გამო შეხვეული ფეხი მაჩვენა.

შემდგომ წლებში, უკვე ინსტიტუტის პერიოდში, მითხრა_ «ამ დღეებში თურმე მიკროინფარქტი ფეხზე გადავიტანე». ძალიან ბევრს ეწეოდა, მაგრამ ნებისყოფის ძალით, ექიმის მოთხოვნით თავი ერთ დღეში დაანება .



ინსტიტუტის მეორე კორპუსის მშენებლობა. 80-იანი წლები.

ვერ იტანდა ეგოიზმს. თეორეტიკოსებზე ამბობდა ხოლმე: «მთელი დღე წიგნებში რომ იყურებიან, მერე ეგოისტები ხდებიან». ცუდად არ გამიგოთ, მაგრამ როგორც ნიჭიერ კაცს, წიგნების კითხვა არ უყვარდა (შეძენით კი იძენდა). «ყველაფერს ხომ არ წაიკითხავ, ზოგი რამ თვითონ უნდა მოიფიქრო» უთქვამს ხშირად. შეიძლება, მართალიც იყო. მაგრამ სწორედ ამას მოყვა მისი ხანგრძლივი კონფლიქტი უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის კოლექტივთან _ ”როგორ თუ პრორექტორმა ჩვენს წიგნებს მაკულატურა უწოდაო”?! სამაგიეროდ, წერა ეხერხებოდა. ჩემი დისერტაციის ტექსტს დიდხანს ვერ ვწერდი, ვიდრე მან არ დამაკვალანა.

ახალგაზრდობაში ამალღობელი აკადემიკოს ელეფთერ ანდრონიკაშვილთან, ფიზიკის ინსტიტუტში მუშაობდა. ის დაეხმარა ნოდარს დუბნაში მივლინებაში (საკანდიდატო დისერტაციის დასაცავად). შემდეგ ბინაც მისცა დილომში. ნოდარი

მალე აუჯანყდა მას და წამოვიდა უნივერსიტეტში. ”კრუხივით უნდა რომ ყველაფერს გადაეფაროს” _ ამბობდა მასზე ამალლობელი _”მე ხომ ვიცი ჩემი შესაძლებლობები”.

მე უკვე ავლნიშნე, რომ ჩვენი “შეფი” არ იყო მოკლებული ადამიანურ სისუსტეებს. მისთვის უცხო არ იყო პატივმოყვარეობა, ზედმეტად აფასებდა აღიარების გარეგან ატრიბუტებს, თანამდებობებს. ზოგჯერ კი ძალზე რბილი და კომპრომისებისკენ მიდრეკილი იყო, რაც მის მოწაფეებში ხშირად უკმაყოფილების გრძნობას იწვევდა...

ახლა, როცა გავიდა წლები, ხედავ, რომ ეს ყველფერი შედეგი იყო უზომოდ გაზრდილი პიროვნებისა, რომელმაც ჩვენი ცხოვრებით ნაკვებ ასთავიან ურჩხულთან ბრძოლაში ადამიანებს ძალზე გაუსწრო და შინაგანი მარტოობისა და ტკივილისაგან ნიჰილიზმი განუვითარდა.....



*ნ.ამალლობელი, ბ.ჭილაძე (დირექტორის მოადგილე), მ.ნიორაძე
(ინსტიტუტის დირექტორი 2004 წლიდან).*

[1] ალბერტ (ალეკო) თავხელიძე (დაბ.1930წ., თბილისი) –ფიზიკოსი, სსრკ მეცნ.აკადემიის აკადემიკოსი (1990). საშუალო სკოლა თბილისში დაამთავრა. უნივერსიტეტის ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ (1953წ.), ილია ვეკუას რეკომენდაციით გახდა ნ. ბოგოლიუბოვის ასპირანტი. დუბნაში თეორიული ფიზიკის ლაბორატორიის გარდა, მუშაობდა კიევის თეორიული ფიზიკის ინსტიტუტში. 1970 წლიდან მოსკოვში ბირთვულ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორია.


1986 წლიდან საქ. მეცნ. აკადემიის პრეზიდენტია, 1994 წლიდან – უნივერსიტეტის მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი. 2005 წლიდან მუშაობს მოსკოვში.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

კურჩატოვის მოადგილე (მ. მეშჩერიაკოვი)

მიხეილ გრიგოლის ძე მეშჩერიაკოვი (მეტსახელად “ემ-გე”) «ატომურ პროექტში» აკადემიკოს კურჩატოვის მოადგილე იყო.

ტაგანროგში, კაზაკის ოჯახში დაბადებული, უმაღლესი განათლების მისაღებად ლენინგრადში ლამის ფეხით ჩასულა. ოცდაათიან წლებში კურჩატოვის ასპირანტი გახდა, იქვე დაოჯახდა. შეეძინა ქალიშვილი ტანია, მაგრამ შემდეგ ოჯახი დაიშალა.



ასპირანტი მ.მეშერიაკოვი

ი.კურჩატოვთან ერთად.

ლენინგრადის ბლოკადის დროს ბევრჯერ დაიჭრა, ოპერაციები კარგად გადაიტანა, რადგან ძლიერი ჯანმრთელობით გამოირჩეოდა.

1946 წელს ნახევარი წლით ამერიკაში მიავლინეს. იქ, წყნარ ოკეანეში, ატოლ «ბიკინიზე» მორიგი ატომური ბომბის აფეთქების დამკვირვებლებს შორის იყო, ამიტომ საბჭოური ბომბის პირველი აფეთქებისას^[1] მის მოვალეობაში «ატომური სოკოს» ზომების შედარება შედიოდა.

თუ მისი კოლეგები – გიორგი ფლეროვი^[2], კირილე შჩოლკინი^[3] და ა.ზავენიაგინი^[4] ბოლო წუთებამდე უშუალოდ ბომბთან 30 მეტრიან კოშკზე იყვნენ, მეშერიაკოვი ათიოდე კილომეტრით დაცილებულ ბუნკერში იყო კურჩატოვთან, ხარიტონთან^[5], ბერიასთან და სხვა ხელმძღვანელებთან ერთად. წარმატებული აფეთქების შემდეგ ბერიას იქ მყოფნი გადაუკოცნია და თან უთქვამს: «თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა უსიამოვნებას გადაურჩით, რა გელოდათ, ბომბი რომ არ აფეთქებულიყო».



გ.ფლეროვი კოტეჯის ეზოში ი.კურჩატოვთან ერთად.

მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტობა სწორედ ამ ექსპერიმენტის შემდეგ მიანიჭეს მეშჩერიაკოვს, ფლეროვს, ჯელეპოვს, ბოგოლიუბოვს^[6] და სხვებს. 50-იან წლებში კურჩატოვმა მეშჩერიაკოვი დუბნის ცენტრის ხელმძღვანელად დანიშნა. მის სიმკაცრესა და მომთხოვნელობაზე ლეგენდები დადიოდა. წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია, რომ ინსტიტუტის კლუბში (ფარდულში, რომელიც ცენტრალურ მოედანზე, ახლანდელი ფოსტის ადგილზე მდებარეობდა), მის მოსვლამდე კინოფილმი არ იწყებოდა.

იმავე პერიოდის მეორე მაგალითი: რკინიგზის ხიდი ხანძარმა მთლიანად გაანადგურა (ხისგან ყოფილა), ამის გამო დუბნაში მატარებლის მოძრაობა შეწყდა. მეშჩერიაკოვმა შეუძლებელი შეძლო და ხიდი ერთ დღეში აღადგინა. მიუხედავად ამისა, თვით მეშჩერიაკოვის მოგონებით, კურჩატოვისგან ხშირად ესმოდა– «მე შენი დედა..... რატომ გააკეთე ასე?»

მისი სიმკაცრე ბევრ კოლეგასაც არ მოსწონდა. გადამწყვეტი ყოფილა ბრუნო პონტეკოროვოს^[7] გამოსვლა 1956 წლის პარტიულ კრებაზე: _ «მისი ყველას ეშინია...» მასზე ნაწყენი იყო ხრუმჩოვი: 1954 წელს მეშჩერიაკოვს შესთავაზეს წყალბადის ბომბზე მუშაობა, არციმოვიჩის მოადგილედ, რაზეც მან უარი თქვა. მეშჩერიაკოვი

გაათავისუფლეს ხელმძღვანელი თანამდებობიდან და მეცნიერ-თანამშრომლად ჩამოაქვეითეს. მის ადგილზე კი ყოფილი მოადგილე, ბენედიქტ ჯელეპოვი, დანიშნეს. ამიტომ იყო მათ ლაბორატორიებს შორის ცუდი ურთიერთობა.



გ.ფლეროვი, (მარცხნიდან მეორე), მ.მეშჩერიაკოვი, (მარცხნიდან მესამე),

ბ.ჯელეპოვი (მარჯვნიდან პირველი).

ასპირანტურის წლებში მეშჩერიაკოვთან მუშაობდა ნ. ამაღლობელი. იმდენად დაახლოებულან, რომ, ამაღლობელის თქმით, ამჩქარებელზე (ცხელ დღეებში) ხშირად ტრუსებში მუშაობდნენ.

1967 წელს მეშჩერიაკოვი ახლადგახსნილი გამოთვლითი ტექნიკის ლაბორატორიის დირექტორად დანიშნეს (მაშინ მე უკვე დუბნაში ვმუშაობდი). ნიჭიერ ადამიანს არ გასჭირვებია მისთვის ახალ სფეროში მუშაობა. მას ჯერ კიდევ ამერიკაში ყოფნისას მოსმენილი ჰქონდა ”კიბერნეტიკის მამის», ნორბერტ ვინერის, ლექციები. ამ წლებში მეშჩერიაკოვს მეორე ცოლი ჰყავდა და ქალიშვილი ოლია (რომელიც მალე გაცვილდა ქმარს).

სხვა დრო იყო. მეშჩერიაკოვი ნაკლებად მკაცრი და უხეში გახლდათ, მიუხედავად ამისა, როცა ჩემმა ხელმძღვანელმა (კარჟავინმა) მთხოვა შევყოლოდი

ახალი პროექტით კაბინეტში, შესვლის მომენტში იკითხა: «Что за х.....ня ?». თბილისიდან ახალი ჩასული, მეცნიერ-მუშაკზე «თბილისური» წარმოდგენების შემდეგ მე ძალზე გამიკვირდა. მხოლოდ მოგვიანებით შევეჩვიე, რომ რუსეთში, საქართველოსგან განსხვავებით, გინებას შეურაცხმყოფელი მნიშვნელობა არ აქვს.

უყვარდა საქართველო, ქართველები. «მეცნიერთა სახლის» თითქმის ცარიელ კინოდარბაზში, ძველ, საშუალო დონის ქართულ ფილმს ბოლომდე უცქერდა ხოლმე. მონღოლეთისთვის განკუთვნილი ექსპერიმენტული დანადგარები («გამზომი მაგიდები» და სხვ.), მეშჩერიაკოვის ბრძოლის შედეგად თბილისის უნივერსიტეტში მოხვდა. დუბნაში ერთ-ერთი ჩამოსვლისას ამალობელმა სასტუმროში დილის 9 საათზე დამიბარა. დავაკაკუნე და ნახევრადღია კარში ნამძინარევა ნოდარმა მითხრა: «მეშჩერიაკოვმა გუშინ რესტორანში დამპატიჟა, დიდი ხანია არ დაგვილევიაო, და ამიტომ გადავდოთ დღევანდელი შეხვედრა...» .

ადარ მახსოვს რომელ კონფერენციაზე, მე და მეშჩერიაკოვი პლაჟზე ერთმანეთის გვერდით მოვხვდით. გავესაუბრე უცხოეთის შთაბეჭდილებებზე (ფინეთიდან ახალი ჩამოსული იყო). გაოცებული იყო უცხოელ მეცნიერთა ხელფასებით.

ახლა, დუბნის სასტუმროს სკვერში, იმ სკამის ნაცვლად, სადაც მას ფიქრი უყვარდა, აპირებენ მთლიანად ლითონისგან შესრულებული სკამ-მეგლის დადგმას.

[1] ატომური ბომბის პირველი გამოცდა ჩატარდა 1949 წლის 29 აგვისტოს, ორშაბათს, დილის 7 საათზე, ყაზახეთში ქ. სემიპალატინსკიდან 100 კილომეტრზე, უდაბნოში განლაგებულ პოლიგონზე.

[2] გიორგი ფლეროვი (დაბ. 1913წ., როსტოვი დონზე) –აკადემიკოსი (1968 წლიდან), სოც. შრომის გმირი, ოთხგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

[3] შჩოლკინი კ.ი. (დაბ. 1911წ., თბილისი) – მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სამგზის სოც. შრომის გმირი, ციმბირში ქვეყნის რაკეტულ-ბირთვული თავდაცვითი ფარის შემქმნელი, თბილისელი (მისი ძეგლი ვაკე-საბურთალოს შემაერთებელ გზაზეა, ფიზიკის ინსტიტუტთან). ძალზე პრინციპული იყო; გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ გამოვიდა ხრუშჩოვის და მიქოიანის წინააღმდეგ, მინისტრი ე. სლავსკი ამოშალა ლენინური პრემიების სიიდან. ამიტომ არ აირჩიეს აკადემიკოსად, ჩამოაცილეს საქმეს, დაუნიშნეს მცირე პენსია, არ აღუნიშნავთ არც ერთი მისი იუბილე. ბოლო წლებში მოსკოვში ლექციებს კითხულობდა. გარდაიცვალა 49 წლის ასაკში.

[4] ზავენიაგინი ა.პ. (დაბ. 1901წ., ტულის გუბერნია) – იყო მძიმე მრეწველობის მინისტრის (ს. ორჯონიკიძის) მოადგილე, მისი თვითმკვლელობის შემდეგ დაავალეს ნორილსკის კომბინატის დირექტორობა, შემდეგ გახდა სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. გამოირჩეოდა განსაკუთრებული პატიოსნებით და ადამიანური თვისებებით.

[5] ხარიტონი ი.ბ. (დაბ. 1904წ., პეტებურგი) აკადემიკოსი, სამგზის სოც. შრომის გმირი. ახალგაზრდობაში მუშაობდა რეზერფორდთან (კაპიცასთან ერთად). 50 წელი იყო არზამას – 16-ის (ამჟამად ქ. საროვი) ატომური ცენტრის მეცნიერ-ხელმძღვანელი. მამა დაპატიმრებული ჰყავდა. დედა უცხოეთში გაიქცა. «ატომურ პროექტზე» მუშაობისას უსაფრთხოების მიზნით გამოუყვეს მეფის სალონ-ვაგონი. გამოირჩეოდა «ძველმოდური» თავაზიანი მანერებით და ისეთი იშვიათი სიგამხდრით, რომ პროვინციელი პარტიული ფუნქციონერები პირველი შეხვედრისას მას მეცნიერად არც აღიქვამდნენ. გარდაიცვალა 93 წლის ასაკში.

[6] ბოგოლიუბოვი ნ.ნ. (დაბ. 1909წ., ნიჟნი ნოვგოროდი) – აკადემიკოსი, ორგზის სოც. შრომის გმირი. არზამას-16-ში მუშაობდა «ატომური პროექტის» თეორიულ გათვლებზე. დუბნის საერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორი 1965_1988 წლებში. ჰყავს ორი შვილი.

[7] პონტეკოროვო ბ.მ. (დაბ. 1913წ., პიზა, იტალია) – აკადემიკოსი. მუშაობდა ენრიკო ფერმისთან იტალიაში. 1938 წელს დაქორწინდა მარინა ნორდბლომზე. 37 წლის ასაკში, დაპატიმრების შიშით (კომუნისტური შეხედულების გამო) ინგლისიდან გადმოსახლდა დუბნაში. პირველ სიძნელეებთან ჭიდილში ცოლი ნერვიულად დაუჟავადა. უყვარდა საქართველო. გარდაიცვალა 80 წლის ასაკში.

პროფესორი ვლ.კეკელიძე



დუბნა. მაღალი ენერგიების ლაბორატორია(ЛБЭ).

დუბნიდან დაბრუნების შემდეგ აქტიურად დავიწყე იქ ჩემი შემცვლელის ძებნა. ლაბორატორიას სჭირდებოდა ძლიერი სტუდენტი, მე-5 კურსელი. რადგან რუსული სექტორი ყოველთვის ქართულზე უფრო ძლიერი იყო, დეკანის მოადგილეს, გ. ასლანიდის, ვთხოვე დაესახელებინა ორი ფრიადოსანი. «უფრო ძლიერია ფოკინა, შემდეგ მოდის კეკელიძე» - მითხრა ასლანიდიმ. ვიდრე საბოლოოდ გადავწყვეტიდი, ჩემს ოთახში დავბრუნდი და ც. იოსელიანს მოვეთათბირე.

- ფოკინა – მოკინა გვინდა ახლა? არც კეკელიძე გვინდა, რა სულ რუს-ქართველა ხალხი მოგყავს – თავისებურად გაჯავრდა ციალა. მახსოვდა ამალლობელის მითითებაც: რუსების დუბნაში გაგზავნას აზრი არ აქვს – უკან აღარ დაბრუნდებიანო (ასეც მოხდა შემდგომში ორ თანამშრომელზე).

სხვა გზა არ იყო, დავურეკე შინ ვოვა კეკელიძეს და შევთავაზე ლაბორატორიაში შეხვედრა დუბნაში გამგზავრებისთვის.

- «Я такие шутки не принимаю». - მიპასუხა და დამიკიდა ყურმილი. მომიწია ფაკულტეტის მდივნისთვის, ელენა პავლოვნასთვის, ყველაფერი ამეხსნა. მან მკაცრი ტონით დაურეკა და დეკანატში სასწრაფოდ მოსვლა მოსთხოვა.

მოკლე საუბრის შემდეგ, რადგან რადიოფიზიკის სპეციალობის დიპლომი ჰქონდა, კეკელიძეს მივეცი რამდენიმე ხელსაწყოს აღწერა ექსპერიმენტის ავტომატიზაციის დარგში (ჩვენი სპეციფიკის გასაცნობად). ერთი კვირის შემდეგ აღწერები დამიბრუნა და აღელვებულმა, ამ მიმართულებით მუშაობაზე უარი მითხრა. იქვე მთხოვა, იქნებ ფიზიკის მიმართულებით დაერთო ნება ამაღლობელს.




ვ.კეკელიძე. 80-ანი წლები.

ყველაფერი ნ. ამაღლობელს მოვახსენე. თუ არ ვცდები, იქვე იყო სალუქვაძე და გადავწყვიტეთ გამოსაცდელად ჩაეტარებინა სემინარი ფიზიკის ერთ-ერთ საკითხზე.

ერთი კვირის შემდეგ ხუთიოდე კაცმა მოვისმინეთ ეს სემინარი და ვ. კეკელიძე ისე წავიდა დუბნაში, ერთი დღეც არ უმუშვია თბილისის მძიმე პირობებში.

რამდენიმე წელში მან მიიღო საქართველოს სახელმწიფო პრემია (თანავეტორებთან ერთად), იქვე დაოჯახდა, დაიცვა საკანდიდატო, შემდეგ სადოქტორო დისერტაცია. ახლა დუბნაში პროფესორი ვლადიმერ კეკელიძე ერთ-ერთი დიდი ლაბორატორიის (ე.ი. ინსტიტუტის) დირექტორია და მისი ხელმოწერა ბევრი ადამიანის ბედს განსაზღვრავს...

ამაღლობელის დაკრძალვაზე უნივერსიტეტში სამგლოვიარო მიტინგზე კეკელიძე სიტყვით გამოვიდა, როგორც დუბნის საერთაშორისო ინსტიტუტის დირექციის წარმომადგენელი.



გაიჭაქე ღღესაჲ გაიჭაქაჲ

● როდესაც საქართველოს სპორტული საზოგადოების სიამაყემ — ბორის პაიჭაძემ, სამოცდაათ წელს, ტრადიციულ საიუბილეო თარიღს გადააბიჯა, სურვილი გამიჩნდა, რომ იუბილარიდან იღბმა პატივისცემა მოკლე წერლით მაინც გამომეხატა.

ფოტოსურათებისათვის ბატონ ბორის ვეწვიდი. თავდაბალი უფროთ გამომისტუმრდა მდგომარეობიდან ისევე ჩვენი საოჯახო ალბომის დახმარებით გამოვედი. ფოტოსურათებს რომ ვარჩევდი, ყურადღება მაშინდა მივაქციე, რომ პაიჭაძე და თბილისის „დინამოს“ მექარე — სერგო შულდრა (მამაჩემი) ყველა ფოტოში ერთმანეთს უმწვენებდნენ მხარს (კაპიტანი და მექარე ხომ ერთად გამოდიან მოედანზე და ერთად ტოვებენ მას). ასევე მეგობრობდნენ ისინი ცხოვრებაში და ერთად იზიარებდნენ ჭირსაც და ღონისაც. ბორის პაიჭაძის იშვიათი პიროვნული თვისებები ყოველთვის მიზიდავდა და ამიტომ მაშის მოვლენები მისი თამაშის მინერის შესახებ კარგად დამამახსოვრდა:

„ბორის მოედანზე გამოსვლა საოცარი ძალით გვაკავშირებდა ერთმანეთს, მის გარშემო აღვილად ყალიბდებოდა კოლექტივი...“

ტემპერამენტიანი თამაში იცოდა, არასოდეს კარგავდა მებრძოლის თვისებებს. თუ ვაგებდით, ბორია თავს მოიკლავდა და საჭირო ბურთს კი ვაიჭრანდა. გასვლით თამაშს რომ წავეგებდით, მატარებლიდან სცხეთაში ჩამოვდიოდით, ისე ერთდებოდა ჩვენს კაპიტანს

გულშემატკივრებთან შეხვედრა...

დიდი ენერჯისა და მოსაზრებულობის, სწრაფი ორიენტაციის უნარის მქონე, ისე კეთილშობილურად თამაშობდა, რომ არ მახსოვს, მსახისაგან შემჩნევა მივლოს...

მწვრთნელს თავისი ავტორიტეტით კი არ უპირისპირდებოდა, არამედ ეხმარებოდა მუშაობაში. სამსრეტილო კაცი ემთკიურა და მწვრთნელის შემჩნევას ყოველთვის ერთნაირი სიმშვიდით ვერ ისმენს, ამიტომ ხშირად თამაშის გარეგან მწვრთნელი ბორისაგან იწყებდა — მისი თავშეკავება და სპორტული რაინდობა კი ყველასათვის სამაგალითო იყო...

მას პელებზე ნაკლები სახელი არ ექნებოდა, მსოფლიო ასპარეზზე მისი თამაში რომ ენახათ, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო“.

ყველამ არ იცის, რომ იუბილარის ცხოვრება ყოველთვის იავარდით მოფენილი არ ყოფილა. იყო დრო, როცა მას სტანდარტულ ფეხბურთელად გადაქცევის უმარტულად და საჯაროდაც კი აკრიტიკებდნენ... ავიღოთ თუნდაც 1952 წელი, როცა ბორის პაიჭაძემ თავი დაანება თამაშს. ამ წლებში რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ყოველთვის ობიექტური როლი იყო მასთან ურთიერთობაში...

1963 წლიდან ბორის პაიჭაძე ორი ათეული წელი იყო თბილისის „დინამოს“ სპორტკომბინატის დირექტორი. მე ბედმა მარგუნა ამ წლებში ბატონ ბორისთან სიხლოვე და არ შემოიღია, მკითხველს არ

გაუზიარო მის პიროვნულ, წმინდა აღმამიანურ თვისებებზე ზოგი რამ ჩემი უშუალო დაკვირვებიდან.

პაიჭაძე მარტო ფეხბურთელი არ არის. იგი ძალზე ნიჭიერი აღამიანია. წიგნი ბატონ ბორისის მუდმივი თანამგზავრია. იგი ძალზე ნაკითხი და ფართო ერუდიციის პიროვნებაა. ამიტომ, ეპეგარეშეა, მას რომ სხვა გზა აერჩია, მაინც სახელოვანი აღამიანი გახდებოდა.

ბატონი ბორისი კარგი მეოჯახეა. ძალზე უპრეტენზიოა ცხოვრებაში. — სულაც არ შეუძლია თავის თავზე ზრუნვა და მუდამ თვითშეზღუდვისაკენ ისწრაფვის.

მასთან ხშირია მომსვლელი, ალბათ ამიტომ კარი ყოველ-

ნისტრაციული საქმიანობაც ემარჯვება.

პაიჭაძე თავისი განუწყველ კეპით, თამაშის დროს ფეხბურთელთა ამოსასვლელი გვირახის წინ რომ უყვარდა ყოფნა, „დინამოს“ სტადიონის ერთგული, მისი ნამდვილი პატრონი იყო...

„ბორია ძალზე ობიექტური კაცია, — ხშირად უთქვამს მამას, — ის არასოდეს გაამართლებს მეგობარსაც კი, თუ ის მართალი არ არის“. მას არასოდეს მოჰკლებია „უბრალო“ აღამიანებისადმი ინტერესი. საზოგადოებაში ძალზე თავმდაბალი, მაგრამ მტკიცე ნებისყოფიანი და უაღრესად გულისხმიერი აღამიანია. ბორისი ასევე საიმედოა ცხოვრებისეული სირთულეების გადალახვისას, ძველებურად არ ზოგავს თავს და იზიარებს მწუხარებას თუ სიხარულს ამხანაგებთან ერთად.

ის საპატიო სახელი, რომელიც ბორის პაიჭაძეს აქვს, მას ხალხმა აჩუქა, და ბატონ ბორისს ყოველთვის ახსოვს, რომ ის ამ სახელის მფლობელი კი არა, მცველია, ვითარცა ბიარალისა. ამიტომ ვაჟკაცურად იბრძვის, რათა ფეხბურთის ძველი, სახელოვანი ბიარალის ღირსება ბოლომდე დავაცას.

დარწმუნებული ვარ, რომ ასე ფიქრობს ყველა, ვინც მასთან ახლოს ყოფილა. სადა, გულშია საუბარი, ნატიფი იუმორი, დიდი აღამიანური სითბო — ყოველივე ეს ისე ბუნებრივადაა შერწყმული მასში, რომ ოდნავი ნაძალადეობაც კი არ ეტყობა.

ღიან, პაიჭაძე ისევე პაიჭაძეა

ოქარ შულდრა



ბორის პაიჭაძე შვილიშვილთან ერთად.